


**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომცემი მოსალოდნელია**



დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - ძლიერი თოვლი, დასავლეთის მიმართულების ქარი - 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 5-10, შიდა მთიანი რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 759 მილიმეტრი. ზვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნაღველო ამინდი.

**ქართული იუსტიცია**

ევრონეტის საპარლამენტო ასამბლეამ „საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერის თაობაზე“ რეზოლუცია მიიღო. ასამბლეა მიესალმება ევროკომისიის მიერ 2022 წლის 23 ივნისს მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებას უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების სტატუსის მინიჭების თაობაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამივე ქვეყანა არის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ნაწილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის ხელმძღვანელობით ინვესტირება სექტორის სხდომა გაიმართა. სხდომაზე საუბარი შეეხო მსხვილ ეკონომიკურ პროექტებს, რომლებზეც მთავრობის ეკონომიკური გუნდი მუშაობს, განიხილეს მწვანე ეკონომიკის განვითარების ინიციატივები, სამთო მრეწველობის შესაძლებლობები და გამოწვევები, საქართველოს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია, შავი ზღვის პლატფორმის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხები და შუადღის სატრენინგო მარშრუტის განვითარების მიმართულებები, აგრეთვე ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მიმდინარე რეფორმებში ინვესტირება სექტორის ჩართულობა.

პარლამენტმა, პირველი მოსმენით, მხარი დაუჭირა „ხალხის ძალის“ დებუტატების კანონპროექტს, რომლის მიხედვით, თუკი ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული დებუტატები ფრაქციას და პარტიას დატოვებენ, პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფის შექმნას შეძლებენ. პარლამენტის რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილების გათვალისწინებით, პოლიტიკური ჯგუფის შექმნისათვის არაერთი პარტიის წარმომადგენლები.

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი - „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან კონსულტაციებს იწყებს. პარტიის ინფორმაციით, კონსულტაციები, იმ კანონპროექტთან დაკავშირებით გაიმართება, რომელიც „უცხოური გავლენის აგენტად“ აცხადებს არასამეწარმეო იურიდიულ პირს და მედიასაშუალებას, რომელთა შემოსავლების 20%-ზე მეტი უცხოური ძალების“ მიერ ფინანსდება.

„ნაციონალური მოძრაობის“ დებუტატები 24 თებერვალს უკრაინაში გაემგზავრებიან. ისინი უკრაინის რადაში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას.

მომავალა ია შხველიძე

**მთავრობა სამი სამედია-დაცვის დაწესებულების მშენებლობა-რეაბილიტაციას გეგმავს**

**მანანა ტაბიძე 593 10 15 17**

ჩანაცვლისა და ტურიზმის სფეროებში დაგეგმილ სიახლეებზე იმსჯელა აჭარის მთავრობამ 21 თებერვალს გამართულ სხდომაზე. ბათუმში სამი სამედია-დაცვის დაწესებულების მშენებლობა იგეგმება. ტურისტული რეგიონული ცენტრის, ბათუმის №1 პოლიციის და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ბათუმის ცენტრისთვის პროექტების განხორციელებას მთავრობამ მხარი დაუჭირა.

მთავრობის თავმჯდომარემ მაღალმთიან რეგიონებში დიდთოვლობის შედეგებზეც ისაუბრა. როგორც თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგზაო დეპარტამენტი და მუნიციპალიტეტების საგანგებო შტაბი 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, რათა მოსახლეობისთვის შექმნილი პრობლემები იყოს მინიმალური.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იწყებს ძალიან მასშტაბურ სამედიცინო ინფრასტრუქტურულ პროექტებს. უახლოეს მომავალში დაიწყება სამი მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ეს ეხება ტურისტული რეგიონულ ცენტრს. აშენდება ახალი შენობა. შესაბამისად, პირობები გაუმჯობესდება როგორც იმ მომუშავე პერსონალს, ასევე, პაციენტებსა და ბენეფიციარებს. ჩვენ, გადაუდებელი სამედიცინო ცენტრის, სასწრაფო დახმარების ახალი შენობების მშენებლობასაც ვიწყებთ. შესაბამისად, 160-ზე მეტ პირს იქაც გაუმჯობესდება პირობები და პაციენტები შეძლებენ თანამედროვე ინფრასტრუქტურაში მიიღონ შესაბამისი სერვისები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ამ ინიციატივაში არის ბათუმის პირველი პოლიკლინიკა, სადაც ყველაზე მეტი ბენეფიციარი სარგებლობს მომსახურებით. ჩვენ ვიწყებთ პოლიკლინიკის სრულ რეაბილიტაციას, ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობას და ამ პროექტის ფარგლებში 50 000-ზე მეტ თანაქალაქელს გაუმჯობესდება პირობები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია,

რომ უწყვეტ რეჟიმში ხდებოდეს სამედიცინო სერვისების განვითარება და გაუმჯობესება. მინდა აღვნიშნო, რომ ეკონომიკის მიმართულებით წელი დაიწყო ძალიან პოზიტიურად. იანვრისთვის შემოსავლები აჭარის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეადგენს 50 მილიონ ლარს, რომელიც მართლაც რეკორდული მაჩვენებელია. ის 100%-ით აღემატება ყველა გასული წლის მაჩვენებლებს. რა თქმა უნდა, ჩვენ გავაგრძელებთ როგორც ეკონომიკის, ისე სხვა მნიშვნელოვანი დარგების მაქსიმალურად ხელშეწყობას, რათა გაიზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები და მასთან ერთად მოქალაქეებისთვის გამიზნული შესაბამისი პროგრამები, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

თორნიკე რიჟვაძემ გიდებს პროფესიული დღე მიულოცა და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილ სიახლეებზეც ისაუბრა.

- დღეს გიდების საერთაშორისო დღეა. ვულოცავ მათ. ჩვენ ვაფასებთ მათ წვლილს ტურიზმის განვითარებაში და ვუსურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ტურიზმის მიმართულებით, როგორც მოგესვენებთ, შარშანდელი წელი მართლაც უპრეცედენტო იყო. სრულად აღდგა როგორც ტურისტული ნაკადები, ტრავიკი, ისე რეისები ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში. შეიძლება ითქვას, რომ არ გვქონია ჩავარდნა ტურისტული სეზონის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამიტომ, ძალიან მალე, ჩვენ გადავალთ აქტიურ მოქმედებებზე, რათა განსაკუთრებით საზაფხულო სეზონს, ბათუმი და მთლიანად აჭარის რეგიონი შეხვდეს მომზადებული როგორც ინფრასტრუქტურის, ისე სერვისების მიმართულებით, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

როგორც მთავრობის სხდომაზე ითქვა, ტურიზმის მიმართულებით არაერთი საერთაშორისო ღონისძიება იგეგმება, რისთვისაც რეგიონის მასშტაბით მზადდება დაწესებულება.

**ბათუმის მერიის სამუშაო ვიზიტი - სტამბოლში**

**«რუსეთს არ აქვს საქართველის კანონის, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს სანქციებს»**

**მეტი გავაძვირებოთ და ღიაობისთვის**

**რას ემსახურება «ხალხის ძალის» მიერ შეიქმნილი კანონპროექტი?**

**თხილნაკალი გოგონა - პარიზში**

ISSN 2720-8702  
9 772720 870003

**გამოიცანით გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.













